20 თებერვალი

ქ. წალენჯიხა
2023 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა
და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N1

2023 წლის 20 თებერვალს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თემურ ქარდავა. ესწრებოდნენ კომისიის შემდეგი წევრები: დათა კუკავა, გელა აბულაძე, თენგიზ ფიფია, ეკა სამუშია.

დაწყების დრო: 15:00-სთ.
დასრულების დრო: 15:15-სთ

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;
   პროექტის წარმომდგენი: გელა სალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი
2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;
   პროექტის წარმომდგენი: გელა სალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი
3. სხვადასხვა

მოისმინეს 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ; საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თემურ ქარდავამ. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის N784 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის“ შესბამისად განსაზღვრულ იქნა წალენჯიხის ადმინისტრაციულ ერთეულში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.

ქ.წალენჯიხასა და ქ.ჯვარის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწის ნორმატიული ფასი შეადგენს 8,88 ლარს.
ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს წინადადებები და შენიშვნები არ ქონიათ და ერთხმად, მომზადებულად ჩათვალეს სხდომაზე გასატანად.

მოისმინეს 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ; საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თემურ ქარდავამ. მერიის მიერ შესაწავლილ იქნა ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორტო საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის" დირექტორი 2023 წლის 25 იანვრის N34-126230259 მომართვა-ქ.წალენჯიხა, ზღვაიას დასახლებაში მდებარე უძრავი ქონება (სტადიონი) უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის შესახებ. მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია დაკმაყოფილდეს მათი მოთხოვნა სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით და გადაეცეთ უსასყიდლოდ უზურფრუქტის ფორმით სარგებლობაში. ამ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს წინადადებები და შენიშვნები არ ქონიათ და ერთხმად ჩათვალეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისათვის მომზადებულად.

საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **/თემურ ქარდავა/**